26
F75 ~ 4067

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 ივლისი კვირა 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 153 (15670)

ხუთწლედი — ვადამდე!

ფაფალეურელი მაღაროელები ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას ხუთწლედის მეხუთე, გადამწყვეტი წლის დავალებათა შესრულებისათვის. მათ ხუთნახევარი თვის განმავლობაში გამოუშვეს 26.400 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი მარგანეცი. ხურათზე: „ჭიათურმარგანეცის“ დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს № 8 უბნის ღია კარიერი (მარცხნიდან) ცვლის უფროსი ვენერა ტატიშვილი, უბნის უფროსი გივი ბარელაძე და ღია სამუშაოების უფროსი ჯონდო ქორქოლაძე.

ა. მაჭაკარიანის და ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

# ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგების შესახებ

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილეს ამერიკის შეერთებულ შტატებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგები, მაღალი შეფასება მისცეს მის პირად წვლილს და მთლიანად და სავსებით მოიწონეს ამ ვიზიტის პოლიტიკური და პრაქტიკული შედეგები, რომელსაც დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს და უდიდესი მოვლენაა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვიზიტის შედეგები კვლავ ადასტურებენ სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის ნაყოფიერებასა და ეფექტიანობას, კვლავ დამაჯერებლად ამტკიცებენ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკის ძალასა და ცხოველმყოფელობას.

1972 წლის მაისში საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის მოსკოვის მოლაპარაკების შემდეგ განვლილმა დრომ თვალნათლივ დაადასტურა, რომ სწორი და დროულია ნაბიჯები, რომლებიც მაშინ გადაიდგა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაჯანსაღების გზაზე. მოსკოვის შეხვედრა, ამ შეხვედრაზე მიღებული დოკუმენტი „სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საფუძვლები“ მოასწავებენ, რომ დაიწყო შემობრუნება უნდობლობიდან დაძაბულობის შენელებისაკენ, ჩვენი ორი ქვეყნის ნორმალიზაციისა და ურთიერთთანამშრომლობისაკენ. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და პრეზიდენტ რ. ნიქსონის ახლანდელი მოლაპარაკების შედეგად სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის განვითარებაში ისახება ახალი სასიკეთო პერსპექტივები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკების მოწყობამ და წარმატებით დამთავრებამ კარგი საფუძველი შეუქმნა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ნორმალურ განვითარებას, ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განმტკიცებას და, ამავე დროს, შეაქვს წვლილი დაძაბულობის შენელების დამკვიდრების, საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების საქმეში.

სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებული უვადო „შეთანხმება ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ“ დიდმნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ატომური ომის წარმოშობის საფრთხის შემცირებისა და საბოლოო ანგარიშით მისი აღმოფხვრის, საერთაშორისო უშიშროების რეალური გარანტიების სისტემის შექმნის გზაზე. მთელი კაცობრიობისათვის ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა ექნება მიღებული შეთანხმებების, სსრ კავშირთან ამერიკის შეერთებული შტატების ატომური დაპირისპირებიდან იმ კურსისაკენ შემობრუნების პრაქტიკულ განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავს არ დაუშვან ატომური ომი, სადავო საკითხები გადაჭრან მოლაპარაკების გზით.

დიდი როლი უნდა შეასრულონ ვაშინგტონში ხელმოწერილმა „სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემდგომი შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების ძირითადმა პრინციპებმა“. განაგრძობს რა მოსკოვში 1972 წლის მაისში დადებული საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებების ხაზს, ეს დოკუმენტი ითვალისწინებს იმ მუშაობის აქტიურ განგრძობას, რომელიც მიზნად ისახავს არა მარტო სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვას როგორც მისი რაოდენობის თვალსაზრისით, ისე მისი თვისებრივი სრულყოფის თვალსაზრისითაც, არამედ ორიენტაციას იძლევა აგრეთვე, რომ განხორციელდეს მისი შემდგომი შემცირების ღონისძიებანი.

არსებითი მნიშვნელობა აქვს „სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმების ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ“, რომლის უპირველესი მიზანია შემუშავდეს ენერგიის ახალი მაღალეფექტიანი წყაროები.

სხვადასხვა დარგში ორი სახელმწიფოს მშვიდობიანი თანამშრომლობის ყოველმხრივი განვითარება და, კერძოდ, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიური კავშირ-ურთიერთობის განვითარების ახალი პერსპექტივები ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობისათვის მეტი სტაბილურობის მინიჭებას.

საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ, რომ ამერიკის საზოგადოებრიობის ფართო წრეებმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დროს გამოხატეს მეგობრული გრძნობები ჩვენი ხალხის მიმართ, გამოიჩინეს იმის გაგება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

თუ ომისშემდგომი ათწლეულების მანძილზე დაძაბულობა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში უარყოფით გავლენას ახდენდა მთელ საერთაშორისო ვითარებაზე, ახლა, პირიქით, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესება, ორი ქვეყნის ვალდებულებანი — თავი შეიკავონ ძალის გამოყენებით დამუქრებისა თუ მისი გამოყენებისაგან მეორე მხარის წინააღმდეგ, მეორე მხარის მოკავშირეთა წინააღმდეგ და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, ორივე მხარის მიერ მკაფიოდ ჩამოყალიბებული ნება პატივი სცენ ყველა სახელმწიფოს უფლებებსა და ინტერესებს საერთაშორისო ვითარების ძირეული გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი ელემენტია, სახავს დიდ შესაძლებლობებს ყველა სხვა ქვეყანას შორის კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის.

მშვიდობის განმტკიცების საქმეს ემსახურება მოლაპარაკების დროს დადასტურებული იმის საჭიროება, რომ ზუსტად შეასრულონ პარიზის შეთანხმება ვიეტნამის შესახებ გარედან ყოველგვარი ჩარევის გარეშე, რაც ხელს შეუწყობს იმას, რომ ინდოჩინეთის ყველა ხალხს შეექმნას შესაძლებლობა იცხოვრონ მშვიდობიანად.

ევროპის უშიშროების პრობლემების განხილვისას ორი ქვეყნის მიერ მიღწეულ ურთიერთგაგებას და, კერძოდ, მათს ურთიერთმისწრაფებას, უმოკლეს ვადაში მოაწყონ სრულიად ევროპის თათბირი, დიდი მნიშვნელობა ექნება ამ კონტინენტზე სტაბილური მშვიდობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

არსებითად დიდმნიშვნელოვანია ერთობლივ კომუნიკეში დადასტურებული მისწრაფება ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგებისადმი იმ პრინციპებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ რაიონის ყველა ხალხისა და სახელმწიფოს უფლებებსა და ინტერესებს, მათ შორის პალესტინის ხალხის ინტერესებს. მოლაპარაკებაზე ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა პოზიცია ამ საკითხში. საბჭოთა კავშირი მშვიდობის პროგრამის შესაბამისად პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს ახლო აღმოსავლეთში ომის კერის ლიკვიდაციას იმ სახელმწიფოთა და ხალხთა კანონიერი უფლებების პატივისცემის საფუძველზე, რომლებმაც განიცადეს აგრესია. ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი გადაჭრის საფუძველია ისრაელის ჯარების გაყვანა ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის 1973 წლის ივნისის უმაღლესი დონის მოლაპარაკების შედეგები შეესაბამება არა მარტო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა ინტერესებს, არამედ მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის ინტერესებსაც.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგები ერთხელ კიდევ მკაფიოდ მოწმობენ, რომ ამჟამად არის შესაძლებლობანი, რათა სადავო საკითხები, რაც უნდა რთული იყოს ისინი, გადაიჭრას მოლაპარაკების გზით განსხვავებული სოციალური სისტემების მიუხედავად სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე.

ორი სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულების თანმიმდევრული და განუხრელი შესრულება იმის საწინდარია, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა გადავაქციოთ საერთაშორისო მშვიდობის მუდმივ ფაქტორად, უზრუნველვყოთ დაძაბულობის შენელების ამჟამად მიმდინარე პროცესების შეუქცევადობა და გავაღრმავოთ იმ სახელმწიფოთა მშვიდობიანი, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა, რომლებიც ეკუთვნიან საპირისპირო საზოგადოებრივ სისტემებს.

საბჭოთა მხარე გამოთქვამს რწმენას, რომ საყოველთაო უშიშროებისა და ქვეყნად მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საქმე იქნება სხვა სახელმწიფოთა მზადყოფნა შეუერთდნენ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ერთობლივად დადასტურებულ პრინციპებს — არ გამოიყენონ ძალა და განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა არ დაუშვან ატომური ომის წარმოშობა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგები, ყველა ღონისძიება საგარეო პოლიტიკის დარგში, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა ახორციელებს სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად, უმნიშვნელოვანესი წვლილია საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების საქმეში.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების შედეგებს დიდად აფასებენ საბჭოთა ხალხი, მძიმე სოციალისტური ქვეყნები, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, მშვიდობისმოყვარე და პროგრესული ძალები, რადგან ისინი შეესაბამება მშვიდობის ინტერესებს, ყველა ქვეყნის ხალხის მასების ინტერესებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო აცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც თანმიმდევრულად იქლიავს სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული გზით. ჩვენ კვლავაც განვამტკიცებთ ურთიერთობას ჩვენს მეგობრებთან და მოკავშირეებთან — სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან. ჩვენ განვავითარებთ კავშირურთიერთობასა და კონტაქტებს ქვეყნებთან, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური უღლისაგან, დახმარებას გავუწევთ მშვიდობისათვის, ეროვნული განთავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლ ყველა ხალხს. საბჭოთა კავშირი, კვლავინდებურად, საკადრის პასუხს გასცემს აგრესიული იმპერიალისტური ძალების ყოველგვარ ხრიკებს, ყველას, ვინც ილაშქრებს დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ, იბრძვის „ცივი ომის“ დაბრუნებისათვის, გამალებული შეიარაღებისათვის, ყველას, ვინც მტრობასა და უნდობლობას თესავს ხალხთა შორის.

სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს მთელი ჩვენი ხალხის ერთიანობა და შეკავშირება, ერთსულოვანი მხარდაჭერა, რომელსაც იგი უწევს ჩვენს პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას. საბჭოთა ხალხი თავისი თავდადებული შრომით, ამრავლებს რა სოციალისტური სამშობლოს ძალასა და ძლიერებას, ამით განამტკიცებს ხალხთა მყარი მშვიდობისა და უშიშროების საფუძვლებს.

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჟ. პომპიდუს შეხვედრის შედეგების შესახებ

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს ცნობა 1973 წლის ივნისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჟ. პომპიდუს შეხვედრის შესახებ და სავსებით იწონებენ მის შედეგებს, რომლებიც შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხთა ინტერესებს და დადებითი მნიშვნელობა აქვთ ევროპასა და მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელების პროცესის დამკვიდრებისათვის.

მოვლენათა მსვლელობა დამაჯერებლად ადასტურებს, რომ სწორია თავის დროზე საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომლებმაც დაამყარეს კონსტრუქციული თანამშრომლობის ურთიერთობა და თავიანთი ღონისძიებანი წარმართეს იქითკენ, რომ განევითარებინათ ორმხრივი ურთიერთობა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგებში, შეექმნათ ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობის ახალი სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების თანმიმდევრული გამოყენება.

არსებითი მნიშვნელობა აქვს ერთობლივ კომუნიკეში ორივე მხარის მიერ გამოთქმულ გადაწყვეტილებას — კიდევ უფრო განამტკიცონ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა „სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის პრინციპების“ და პოლიტიკური კონსულტაციების შესახებ „საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ოქმის“ თანმიმდევრული განხორციელების ბაზაზე, აგრეთვე შეთანხმებას 1974 წლის დამდეგს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის უმაღლესი დონის ახალი შეხვედრის მოწყობის შესახებ“

## კარტოფილის ნათესების რესპუბლიკური დათვალიერება

ბუშინ ბოლნისის, დმანისის, თეთრი წყაროს, თიანეთის, წალკის, ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენის, ბოგდანოვკის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაიწყო კარტოფილის ნათესების რესპუბლიკური დათვალიერება.

დათვალიერებაში მონაწილეობენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელი ორგანოებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

### ბოლნისი

მეკარტოფილეობა ბოლნისის რაიონში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. კარტოფილის ნათესებს აქ 689 ჰექტარი უჭირავს. წელს რაიონის მეკარტოფილეებმა სახელმწიფოს უნდა მიაყიდონ 4.500 ტონა კარტოფილი. როგორც წინასწარ ვარაუდობენ, მიაყიდიან 2.000 ტონით მეტს.

კარტოფილის ნათესების დათვალიერებამ ცხადყო, რომ წელს განსაკუთრებული მზრუნველობით მოვიდნენ ნათესების მოვლა-პატრონობას, რის გამო მოსავალს საკმაოდ კარგი პირი უჩანს.

კარტოფილის კულტურა ყველაზე მეტი ოდენობით დათესილი აქვს არასლოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას (დირექტორი მ. ვადაჭკორია). მას აქ 530 ჰექტარი უკავია. არასლოელი მეკარტოფილეები პირობას იძლევიან, რომ წელს გეგმის ზვრით საპელმწიფოს ნააბარებენ 1.500 ტონა კარტოფილს.

მეურნეობამ კარტოფილის მოსავლის აღება შარშანდელთან შედარებით ათი დღით ადრე დაიწყო. 1 ივლისისათვის უკვე ამოღებულია 1.200 ტონა კარტოფილი. იგი გაეგზავნა თბილისისა და რუსთავის ხილმოსტნეულის მაღაზიებს.

არასლოს საბჭოთა მეურნეობაში ჯარგად იყენებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. კარტოფილის მოსავლის აღებაზე ამჟამად მუშაობს მწვანე მასის მსხვლელი 12 და კარტოფილის სათხრელი 17 მანქანა, აგრეთვე კარტოფილის ასაღები 6 კომბაინი.

დათვალიერების დღეს მუშაობის საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს მექანიზატორებმა ვ. ისმაილოვმა, ი. იუსუბოვმა, ა. მუსტაფაევმა და სხვ. განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა ადგილობრივ პირობებში კარტოფილის ასაღები კომბაინი, რომელსაც წელს პირველად იყენებენ მეურნეობები. ხელით შრომასთან შედარებით იგი შიდჯერ ზრდის შრომის ნაყოფიერებას და, რაც მთავარია, იძლევა კარტოფილის მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში აღების გარანტიას.

როგორც კარტოფილის ნათესების დათვალიერების კომისიის თავმჯდომარემ, მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველმა ა. მბელაძემ აღნიშნა, წელს კარტოფილის უხვი მოსავლის მისაღებად კარგად მუშაობენ აგრეთვე სოფლების — ქვეშის, კიასეთის, მუშევანის, ზემო გულავერის კოლმეურნეობები და რატევანის, კაზრეთის, ქოჩულოს და სხვა საბჭოთა მეურნეობების მზრომელები.

დათვალიერებამ გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებანი. იმის შედეგად, რომ წალკის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობებიდან ჯერ კიდევ იღებენ არასტანდარტულ, აგრეთვე ჯიშობრივად განსხვავებულ თესლს, ადგილი აქვს მოსავლიანობის შემცირებას. მეკარტოფილეები სწორად აყენებენ საკითხს, რომ ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ მხოლოდ „ბაფერატიკის“ ჯიშის თესლით — სტანდარტების დაცვით.

მეორე სერიოზული ნაკლი არის, რომ აქ ჯერ კიდევ ვერ მიადწიეს კარტოფილის ნათესების დაწვიმების მეთოდით მორწყვას. მორწყვა წყლის მიშვების წესით ვერ უპასუხებს დღევანდელობის მოთხოვნებს, იწვევს დანაკარგებს.

კარტოფილის ნათესების დათვალიერების შედეგების შეჯამებას მიეძღვნა გუშინ ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელიც გახსნა პარტიის ბოლნისის რაიკომის მდივანმა თ. ხელაშვილმა. ინფორმაციით გამოვიდა დათვალიერების კომისიის თავმჯდომარე ა. მგელაძე.

კარტოფილის ნათესების დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო და თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. შეველაძე.

**ზ. მერკვილაძე,**
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

### წალკა

ბესპუბლიკის რაიონთა შორის წალკის რაიონს ყველაზე მეტი კარტოფილის მოსავალი მოყავს. სოზოგადოებრივი მეურნეობისათვის ძირითადი შემოსავლის წყაროს კარტოფილის მოსავალი წარმოადგენს. ამიტომ ბუნებრივია მისი სიუხვისათვის მთელი ძალღონით მუშაობენ.

წელს კარტოფილი დათესა 3.162 ჰექტარზე. რაიონში არსებულმა 20 კოლმეურნეობამ და 6 საბჭოთა მეურნეობამ ნათესებში აგროწესით გათვალისწინებული სამუშაოები დროზე ჩაატარეს, საჭირო დროზე შეიტანეს ორგანული და მინერალური სასუქები. კარგმა მოვლამ მცენარე საუცხოოდ გაახარა.

ეს ნათლად გამოავლინა გუშინ კარტოფილის ნათესების რესპუბლიკური დათვალიერების დღემ. ბეშთაშენის, ავრანლოს, წალკის, თრიალეთის, საბჭოთა მეურნეობებში, დარაქოის, ჯინისისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში კარტოფილის მცენარე ისეა გაზრდილი, რომ მისი სიმაღლე 70 სანტიმეტრს აღწევს, ხოლო ყოველ ჰექტარზე მცენარეთა რაოდენობა 35-40 ათას ძირამდეა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჰექტარზე საშუალოდ რაიონში მოსალოდნელია მიიღონ სულ მცირე 160 ცენტნერი კარტოფილის მოსავალი ნაცვლად 120 ცენტნერისა, სახელმწიფოს მიეცემა 24 ათასი ტონა კარტოფილი ნაცვლად 20.800 ტონისა.

დათვალიერების დროს რომელშიც მონაწილეობას იღებდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი, დიდი შეფასება დაიმსახურა ბეშთაშენის საბჭოთა მეურნეობამ, რომელსაც მეურნეობათა შორის ყველაზე მეტი — 472 ჰექტარი კარტოფილი უთესია. აქ ჰექტარზე საშუალოდ 160 ცენტნერ კარტოფილს ღებულობენ, ხოლო ავრანლოს საბჭოთა მეურნეობაში — 250 ცენტნერს, ასევე კარგი შეფასება დაიმსახურეს თრიალეთის, წალკის საბჭოთა მეურნეობებმა, ჯინისის, კოლმეურნეობამ.

კარტოფილის ნათესების დათვალიერება გრძელდება.

**შ. ჭოჭუა,**
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

### თიანეთი

თიანეთელ კოლმეურნეებს კარტოფილის მოყვანის კარგი ტრადიციები აქვთ. შარშან, მაგალითად, ყვებოტის კოლმეურნეობის წევრებმა ლ. ბადურაშვილმა დ. და თ. მესხალიშვილებმა თვითეულ ჰექტარზე გადაანგარიშებით 100 ცენტნერის ნაცვლად 294-295 ცენტნერი კარტოფილი მიიღეს. უფრო მეტ მოსავალს ღებულობენ ივრისპირეთში წელს. სულ რაიონში დათესილია 179 ჰექტარი კარტოფილი.

გუშინ მოეწყო კარტოფილის ნათესების შემოწმება.

კომისიამ ყველაზე საუკეთესოდ ცნო ახალსოფლის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ვენერა სიხარულიძე) კარტოფილის ნათესები.

დათვალიერების შემდეგ გაიმართა თათბირი. კარტოფილის ნათესების მოვლა-პატრონობისა და ნაკლსრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შესახებ ინფორმაციით გამოვიდა სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ბ. დავითაშვილი.

კარტოფილის ნათესების დათვალიერებასა და თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ თ. მოსაშვილმა.

**ა. თომაძე,**
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

## ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე სსრ კავშირის დელეგაციის შესახებ

**3 ივლისს** ქალაქ ჰელსინკში იხსნება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის პირველი ეტაპი (საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის დელეგაციის შემდეგი შემადგენლობით: **ა. ა. გრომიკო** — დელეგაციის მეთაური; **ი. ნ. ზემსკოვი, ა. გ. კოვალიოვი** და **ვ. თ. მალცევი** — დელეგაციის წევრები. (საკ. ინ.).

# ლენინური პარტიის ბრძოლიანი

ლენინურმა პარტიამ დიდი და სახელოვანი გზა გამოიარა. შედარებით პატარა იატაკქვეშა ორგანიზაცია, აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავის შესახებ“, გადაიქცა კომუნისტთა მძლავრ, შეკავშირებულ, თითქმის თხუთმეტმილიონიან არმიად — მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მმართველ პარტიად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მუშათა კლასის პარტია, გახდა კომუნიზმის მშენებელი მთელი საბჭოთა ხალხის მებრძოლი ავანგარდი.

ჩვენმა პარტიამ მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლისა და აღმშენებლობითი საქმიანობის ხელმძღვანელობის უმდიდრესი გამოცდილება შეიძინა. პარტიის კოლექტიური გონება და ერთიანი ნება, მისი ნამდვილად მეცნიერული, შემოქმედებითი მიდგომა ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების, პროლეტარული რევოლუციის მომზადებისა და მოწყობის, სოციალიზმის და კომუნიზმის მშენებლობის მომწიფებული საკითხების გადაჭრისადმი, გენერალური კურსის მემკვიდრეობითობა განსახიერებულია სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში.

ლენინი აღნიშნავდა, „პარტიული ყრილობა ტაქტიკურ რეზოლუციებს იმიტომ იღებს, რომ ზუსტად განსაზღვროს პარტიის, როგორც მთელის, პოლიტიკური მოქმედება ახალი ამოცანების მიმართ ან ახალი პოლიტიკური მდგომარეობის გამო“. (თხზ., ტ. 9, ფ. 11). ვ. ი. ლენინი, რომელიც პარტიულ დოკუმენტებში ხედავდა მარქსისტულ შეხედულებათა ყველაზე მოფიქრებულ, ყველაზე სრულ გამოხატულებას, დაუცხრომლად ზრუნავდა იმისათვის, რომ კომუნისტები, ყველა მშრომელი გაცნობოდნენ ამ დოკუმენტებს. მისი მითითებით 20-იანი წლების დამდეგს გამოიცა ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციათა და გადაწყვეტილებათა ცალკე კრებულები. ყოველი მომდევნო გამოცემა, რომელსაც ემატებოდა ახალი დოკუმენტები, კომენტარები, შენიშვნები, განმარტებანი, უფრო სრულ წარმოდგენას იძლეოდა ლენინური პარტიის ბრძოლისა და გამარჯვებათა გმირული გზის შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში და საერთაშორისო ასპარეზზე უკანასკნელ ხანს მომხდარ დიდ მოვლენებთან დაკავშირებით გაიზარდა საბჭოთა ადამიანების ინტერესი ლენინური პარტიის სახელოვანი ისტორიისადმი. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო პარტიული დოკუმენტების კრებულის ახალი, მერვე გამოცემის გამოშვება. ამ გამოცემაში, რომელიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა მოამზადა, შეტანილია სამი ათასამდე დოკუმენტი — პარტიის ყრილობების რეზოლუციები, კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებანი, აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი, წერილები და მიმართვები. ახალ ათტომიან გამოცემაში (1898-1971 წლები) დამატებულია პირადად ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი დოკუმენტები ან მისი მონაწილეობით პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ მიღებული დოკუმენტები, დართულია სოლიდური სამეცნიერო და საცნობარო აპარატი.

## 1.

კრებულები „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“ გვიჩვენებენ, რომ ჩვენი პარტია იშვა როგორც მუშათა კლასის პარტია. მისი თეორიული და ორგანიზაციული საფუძვლები შეიმუშავა დიდმა ლენინმა, რომელიც შემოქმედებითად ავითარებდა მარქსიზმს იმპერიალიზმის ეპოქასთან შეფარდებით, შექმნა მთლიანი მოძღვრება პარტიაზე როგორც მუშათა კლასის რევოლუციური ორგანიზაციის უმაღლეს ფორმაზე, რომელიც მოწოდებულია სათავეში ჩაუდგეს მის ბრძოლას საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის, იყოს კაპიტალიზმიდან სოციალიზმსა და კომუნიზმზე გადასვლის წამყვანი ძალა.

რევოლუციური პროლეტარული პარტიის ჩანასახი რუსეთში იყო პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“, რომელიც ლენინმა შექმნა 1895 წელს. დოკუმენტებში გაშუქებულია მარქსისტულ ორგანიზაციათა გაერთიანების და იმ იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ პრინციპებზე პარტიის შექმნის პროცესი, რომლებიც ლენინმა შეიმუშავა და რომლებსაც პროპაგანდას უწევდა გაზეთი „ისკრა“ ლენინის ხელმძღვანელობით. ეს პროცესი დამთავრდა რსდმპ II ყრილობაზე, რომელმაც მიიღო მარქსისტულ-ლენინური პროგრამა. „ბოლშევიკური პარტიის შექმნამ, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის“, — დასაბამი მისცა ახალ ეტაპს რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. პროლეტარიატმა პირველად მიიღო ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია ახალ ისტორიულ პირობებში წარმატებით უხელმძღვანელოს მის ბრძოლას სოციალური განთავისუფლებისათვის“.

დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ ლენინური პარტია ყალიბდებოდა, ვითარდებოდა და მტკიცდებოდა ბურუჟაზიულ და წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, რევიზიონიზმთან, ტროცკიზმთან, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმთან, სოციალ-შოვინისტებთან და ნაციონალისტებთან, რევოლუციური მარქსიზმის ყველა მოწინააღმდეგეთან ბრძოლაში. ჯერ კიდევ რსდმპ II ყრილობის რეზოლუციაში ჩაიწერა: პროლეტარიატის პოლიტიკური პარტია მხოლოდ მაშინ იქნება ბრძოლისუნარიანი რევოლუციური ორგანიზაცია, თუ განუხრელად დაიცავს კლასობრივ პრინციპებს, არ გაითქვიფება ჭრილბურჟუაზიულ მიმდინარეობებში.

დოკუმენტები მოწმობენ, რომ ჩვენი პარტია ძლიერია მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულებით, იმით, რომ დღიდან თავისი დაბადებისა ნოვატორულად, ლენინურად უდგება საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა შესწავლას. ლენინურმა პარტიამ შეძლო შეესრულებინა რუსეთის პროლეტარიატის, რევოლუციური მასების პოლიტიკური ბელადის როლი „კაპიტალიზმის დამხობისათვის ბრძოლაში. გამხდარიყო ახალი საზოგადოების მშენებლობის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის თავისებურ პირობებში განუხრელად ავითარებდა მეცნიერულ თეორიას, ამდიდრებდა მას ახალი დასკვნებითა და დებულებებით. „სკკპ ყრილობებისა და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი, უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტები მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების მაგალითია“, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ მოხსენებაში.

კრებულები ასახავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიის, პოლიტიკისა და პრაქტიკის ორგანულ ერთიანობას. ჩვენს პარტიას ყოველთვის მოჰყავს თავისი თეორიული დებულებანი პრაქტიკულ დასკვნამდე და პრაქტიკულ მოქმედებამდე, ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, მაღლა უჭირავს თავისი მარქსისტული ლამპარი, — და ცალკეული კლასების ყოველი ნაბიჯით, ყოველი პოლიტიკური და ეკონომიური მოვლენით გვიჩვენებს, თუ როგორ ადასტურებს ცხოვრება ჩვენს მოძღვრებას; ამუშავებს სტრატეგიასა და ტაქტიკას ობიექტური კანონების ღრმად შეცნობის საფუძველზე. ეს კომუნისტურ პარტიას წარმატებით აწყვეტინებს ამოცანებს, რომლებსაც საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებანი უყენებენ.

დოკუმენტები სრულ წარმოდგენას გვაძლევენ ლენინური პარტიის საქმიანობაზე იმ ბრძოლაში, რომელსაც ეწევა თავისი პირველი პროგრამის — თვითმპყრობელობის, მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დამხობისათვის, პროლეტარიატის, როგორც საზოგადოებრივი სოციალისტური გარდაქმნის იარაღის, დიქტატურის დამყარებისათვის ბრძოლის პროგრამის განსახორციელებლად. ჩვენი პარტია შექმნის დღიდანვე ხელმძღვანელობდა იმ მარქსისტული დებულებით, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდი შეიძლება იყოს მხოლოდ მუშათა კლასი, საზოგადოების ყველაზე მოწინავე, ყველაზე ორგანიზებული კლასი. რსდმპ V კონფერენციის რეზოლუციაში აღინიშნა, რომ პროლეტარიატი, რომელიც დღენიადაგ იღრმავებს სოციალისტურ შეგნებას, ერთადერთი კლასია, რომელსაც შეუძლია თანმიმდევრულად ხელმძღვანელობდეს რევოლუციურ ბრძოლას. დოკუმენტებში გაშუქებულია პარტიის მთელი საქმიანობა მუშათა კლასის ორგვლივ გლეხთა მასების, რუსეთის მრავალმილიონიანი ჩაგრული ხალხების გაერთიანების საქმეში. ბოლშევიკურმა პარტიამ პროლეტარიატის დროშით შეაკავშირა მთელი დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალები, გაერთიანა ისინი მძლავრ რევოლუციურ ნაკადად და გამარჯვებით დაგვირგვინა დიდი ოქტომბერი, რომელმაც დაიწყო ახალი ხანა — კაპიტალიზმიდან სოციალიზმსა და კომუნიზმზე გადასვლის ხანა.

მმართველი პარტია რომ გახდა, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მთელი ყურადღება მიაპყრო იმ ამოცანებს, რომ შეექმნა ახალი საზოგადოებრივი წყობილება, რომელშიც არ იქნებოდა ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაცია, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის რაიმე ფორმა. საშინაო და საერთაშორისო ხასიათის განუზომელ სიძნელეთა გადალახვისას კომუნისტთა პარტია საბჭოთა ადამიანებს აღაფრთოვანებდა დიადი გამარჯვებებისათვის. მისი ხელმძღვანელობით შესრულდა რკპ(ბ) VIII ყრილობის მიერ 1919 წელს მიღებული მეორე პროგრამა, განხორციელდა სიღრმით, გაკანონებითა და ტემპით უმაგალითო გარდაქმნები. დოკუმენტებში ნაჩვენებია პარტიის მამობილიზებელი და მაორგანიზებელი როლი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის, ეროვნული საკითხის გადაწყვეტის, სსრ კავშირის შექმნის საქმეში. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ყველა ეროვნების მშრომელი გაერთიანა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეურ საფუძველზე, აღზარდა ადამიანთა — ახალი საზოგადოების თავდადებულ მშენებელთა, ნამდვილ ინტერნაციონალისტთა თაობები.

დოკუმენტებში გაშუქებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიდი ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობა იმპერიალისტური აგრესიების მოსაგერიებლად. ჩვენი ქვეყნის მორალური, მატერიალური და პოლიტიკური მომზადებისათვის. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში ერთ-ერთი პასუხსაგები პერიოდია გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის პერიოდი. მრავალი დოკუმენტი აშუქებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო როლს საბჭოთა ხალხის იდეურ და ორგანიზაციულ მომზადებაში. მტრის გასანადგურებლად, ზურგისა და ფრონტის მტკიცე ერთიანობის შექმნაში. ომის მკაცრ წლებში პარტიამ ცხადყო უდრეკი ერგულება პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი. გერმანიის ფაშიზმსა და იაპონიის მილიტარიზმზე გამარჯვებამ უზრუნველყო ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ევროპის ხალხები იხსნა ჰიტლერული მონობისაგან, ხელი შეუწყო სახალხო დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციების წარმატებას ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნას, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის მსხვრევას.

## 2.

კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის კვალობაზე მაღლდება პარტიის — მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის პოლიტიკური ავანგარდის ხელმძღვანელი როლი. დოკუმენტებში ფართოდ არის გაშუქებული საკითხები, რომლებიც უკავშირდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციულ მოღვაწეობის გაძლიერებას, სახელმწიფო, სამეურნეო, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფას, შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომ განვითარებას. პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწიეს სტალინის პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციისათვის, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის პრინციპების ზუსტად დაცვისა და განვითარებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის, შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე აღმოიფხვრა ნაკლოვანებანი ეკონომიური ცხოვრებისა და პარტიული მშენებლობის დარგში, სწორდებოდა შეცდომები, რომლებიც გამოწვეული იყო სუბიექტივიზმის, ვოლუნტარიზმის გამოვლინებებით და გაუმართლებელი გარდაქმნებით.

მოიწონა რა ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის, 1965 წლის მარტისა და 1965 წლის სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი, სკკპ XXIII ყრილობამ თავის რეზოლუციაში ჩაწერა, რომ „მეცნიერული მიდგომა, კოლექტიურობა და საქმიანობა კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობაში, საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, რაც ცენტრალური კომიტეტის მუშაობის სტილში დამკვიდრდა, კვლავაც უნდა ედოს საფუძვლად მთელ მის მოღვაწეობას“.

კომუნისტური მშენებლობის მომწიფებული პრობლემების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში სულ უფრო სრულად ვლინდება თეორიული, მეორგანიზებელი და იდეურ-პოლიტიკური ძალა ჩვენი პარტიისა. როგორც დოკუმენტები მოწმობენ, მისი მეცნიერული აზრი ღრმად სწვდება საბჭოთა საზოგადოებისა და თანამედროვე სამყაროს განვითარების პროცესებს. ამის მეოხებით გამარჯვების მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება ამ ბოლო წლებში გამდიდრდა ახალი დებულებებითა და დასკვნებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ XXIII და XXIV ყრილობების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ დოკუმენტებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც გაბედულად ავითარებს ლენინურ მოძღვრებას, თავისი XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში ვრცელად და მეცნიერულად დაახასიათა განვითარებული სოციალიზმი. იმ უმნიშვნელოვანეს თეორიულ პრობლემებს შორის, რომლებიც დაუშავებულია სკკპ პროგრამაში, პარტიის XXIII და XXIV ყრილობების გადაწყვეტილებებში, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა

# ბრიგადის კომუნისტთა ინიციატივით

**უეჭიბრება** იყო და მუდამ იქნება საწარმოო ძალების აღმავლობის, წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის, შრომითი ფორმაცია გადაიცვამა ადგილობრივი რადიოკვანძის საშუალებით. აღნიშნულმა ღონისძიებებმა დადებითი შედეგები გამოიღო, ქარხნის კოლექტივი სისტემატურად ასრულებს საწარმოო დავალებებს და ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებებს. მაგალითად, მიმდინარე წლის 5 თვეში ნაცვლად 3.960 ათასი მანეთისა რეალიზებულია 4.072 ათასი მანეთის პროდუქცია, გამოშვებულია 83 ათასი მანეთის ზედგამითი პროდუქცია.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საექსპორტო საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი, პარტბიუროს წევრი ა. მარკოსიანი ხელმძღვანელობს. მოწინავე მუშები კომუნისტები ა. ჭიაპაშვილი, გ. პეტაშვილი, ვ. ბენდინი, ვ. პაპაშვილი დამკვრელური შრომის მაგალითს აჩვენებენ.

კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით კოლექტორის უბანზე შეიქმნა „კომკავშრომლ-ახალგაზრდული ბრიგადა. მ. ბუნტაიანის ხელმძღვანელობით. კოლექტორების

**□ პარტორგანიზაციის შეჯიბრების ორგანიზატორი □ ელექტროშედუღების მოწყობილობათა ქარხანა აღმავლობის გზაზე □ სოციალისტური შეჯიბრების კომპლექსური გეგმა □ მუშაობის ყოველდღიური შედეგები — რადიოთი □ ელექტროშედუღების მეასიათასე მოწყობილობა □ ქარხნის არსებობის 15 წლის განმავლობაში საწარმოს სიმძლავრე 37-ჯერ გაიზარდა □ თბილისური ელექტროშედუღების მოწყობილობა უცხოეთის 38 ქვეყანაში იგზავნება.**

ობანი ერთ-ერთი „ვიწრო ადგილი“ იყო წარმოებაში და ამ ბრიგადამ ინარა ვალდებულება ჩამორჩენა უთუოდ დაეძლია. კომკავშირის კომიტეტმა იზრუნა იმისათვის, რომ ბრიგადას კარგად ემუშავნა, და შედეგიც როდი დააყოვნა. მ. ბუნტაიანის ბრიგადა დღეს მოწინავეა და აღმოიფხვრა „ვიწრო ადგილი“ წარმოებაში. ამან ამაღლა ბრიგადის წევრთა ავტორიტეტი და შემოხვეჭილი როდია, რომ კომკავშრომლ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი მ. ბუნტაიანი ჯერ ერთხმად დაასახელეს, შემდეგ კი აირჩიეს რაიონული საბჭოს დეპუტატად. საამქროთა შორის ყველაზე კარგად იმუშავა საგენერატორო საამქრომ, რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი რ. მაისურაძე ხელმძღვანელობს.

მიმდინარე თვე საიუბილეოა საწარმოს კოლექტივისათვის — სრულდება 15 წელი ქარხნის დაარსებიდან. პარტბიუროს ინიციატივით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ამ თარიღის აღსანიშნავად. ამას ისეც დაემთხვა, რომ ამ თვეში ქარხანამ გამოუშვა მეასიათასე ელექტროშედუღების მოწყობილობა. ქარხნის პარტბიუროს, ადგილკომის, კომკავშირის ორგანიზაციის მოწოდებით ქარხნის ყველა მუშა, მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკური

**□ ელექტროშედუღების მოწყობილობათა ქარხნის პარტბიუროს მდივანი.**

**□ ელექტრონული საანგარიშო მანქანა „ნაირი“ ... ეროვნული ეკონომიკის ... □ ... ეროვნული ... □ ... ეროვნული ... □ ... ეროვნული

# გამარჯვებათა დოკუმენტები

საკითხმა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სახელმწიფოს შესახებ. ჩვენს ქვეყანაში ეროვნული ურთიერთობის განვითარების ისტორიული გამოცდილების განზოგადება და ამასთანავე თანამედროვე ეტაპზე მისი არსის ანალიზი იმის შესახებ, რომ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის წლებში შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი, ასზე მეტი ერისა და ეროვნების მშრომელთა ურღვევი ძმობა, რომლებიც შედუღაბებული არიან საერთო ინტერესებით და მიზნებით, ერთიანი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომელსაც ეკონომიკა მიაჩნია კომუნიზმისათვის ბრძოლის მთავარ სფეროდ, თავის საქმიანობაში მთავარი უურადღება დაუთმო მეცნიერული ეკონომიური პოლიტიკის შემუშავებასა და პრაქტიკულ რეალიზაციას. უმნიშვნელოვანესი თავისებურება პარტიის ამ პოლიტიკისა, რომელმაც ხორცი შეისხა მეცხრე ხუთწლიან გეგმაში, არის საწარმოო ტექნიკური, ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების კომპლექსური გადაჭრის გზებისა და მეთოდების დასაბუთება.

პარტიის ეკონომიურ პოლიტიკაში შემობრუნების არსს შეადგენს XXIV ყრილობის მიერ ყოველმხრივ დასაბუთებული მრწყველობის ინტენსიფიკაციის, განვითარების თვისებრივი ფაქტორების კურსი. პარტიის აზრით, ამუამად ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის მთავარია უზრუნველყოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ეფექტიანობის ამაღლება დიდი შრომის ნაყოფიერების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოების დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის, მოქმედი საწარმოო სიმძლავრეების უფრო სრულად გამოყენების, მეურნეობაში დაბანდებული თვითეული მანეთის მაქსიმალური უკუგების გზით.

სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანა, რომ ორგანულად შეუურწყათ ერთმანეთს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები და მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობანი, განუყოფელ კავშირსა და ურთიერთმოქმედებაშია სოციალურ ფაქტორებთან. მაღლდება მუშათა და გლეხთა პროფესიული მომზადება და ოსტატობა, მიმდინარეობს ხასოფლო-სამეურნეო შრომის გადაქცევა ინდუსტრიულ შრომად; იზრდება ინტელიგენციის, განსაკუთრებით მეცნიერულ-ტექნიკური ინტელიგენციის რიცხვი. ახასიათებს რა ქვეყნის ყველა კლასისა და საზოგადოებრივი ჯგუფის დაახლოების პირობებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხედავს მათ შორის არსებულ განსხვავებებს, მათს საფუძველზე ახორციელებს სოციალურ პოლიტიკას. თანამედროვე ეტაპზე ამ პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანად პარტიას მიაჩნია, როგორც XXIV ყრილობამ აღნიშნა, საბჭოთა საზოგადოების ყველა სფეროში მაღალი პოლიტიკური შეგნების, იდეური წრთობისა და ორგანიზებულობის მქონე მუშათა კლასის წამყვანი როლის განუხრელი ამაღლება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც ახორციელებს მეზანდასახულ მრავალმხრივ საქმიანობას საბჭოთა პოლიტიკური სისტემის სრულყოფისათვის, დიდ უურადღებას უთმობს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, მისი მთავარი აზრი ამუამად ის არის, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში ჩაბას მშრომელთა უფრო ფართო მასები. ამ ბოლო წლებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რამდენიმე დადგენილება, რომელიც უზრუნველყოფენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანიზაციისა და საქმიანობის სრულყოფას, სახალხო კონტროლის ქმედითობის გაძლიერებას, საწარმოო და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში შრომითი კოლექტივების როლის ამაღლებას.

პარტიული დოკუმენტები მშრომელთა კომუნისტური აღზრდის იდეების უმდიდრესი წყაროა. ბევრ ამ დოკუმენტში გაშუქებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის არსი თანამედროვე პირობებში. პარტიის XXIV ყრილობამ აღნიშნა, რომ საბჭოთა საზოგადოების წინსვლა კომუნიზმისაკენ მისი სოციალურ-ეკონომიური სიმწიფის ახლანდელ ეტაპზე მოითხოვს ჰარმონიულად და ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის მომზადებას, კომუნისტური მსოფლმხედველობის პრინციპების გადაქცევას ყველა საბჭოთა ადამიანის ღრმა რწმენად, მათი ყოველდღიური ცხოვრების ნორმებად. იდეოლოგიური მუშაობის თეორიისა და პრაქტიკის დიდმნიშვნელოვანი პრობლემები დამუშავებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში მშრომელთა ეკონომიური განათლების გაუმჯობესების შესახებ; კოლექტივის წევრთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების მონაწილეობის შესახებ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მუდმივი უურადღების საგანია სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 31 აგვისტოს დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ შეჯიბრება იყო და არის ძალების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების, კოლექტივიზმის ჩამოყალიბების, ადამიანთა შორის სოციალისტური ურთიერთობის განმტკიცების მძლავრი საშუალება.

დოკუმენტები დამაჯერებლად გვიჩვენებენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის გაზრდა საბჭოთა საზოგადოებაში, მისი გაფართოვნა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ნიადაგზე, ეროვნული ურთიერთობის ძირითადი ელემენტი. მაგალითის ძალა, უდიდესი წარმატებები ახალი საზოგადოების შენებლობაში უპირველეს როლს ასრულებენ ყველა კონტინენტზე მეცნიერული კომუნიზმის იდეების გავრცელებაში. ჩვენს პარტიას თავისი ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია ხელი შეუწყოს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ძლიერების შემდგომ ზრდას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყველაფერს აკეთებს, რაც საჭიროა მომძმე ქვეყნებთან ყოველმხრივი ურთიერთობის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის. ახლანდელ ეტაპზე იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლობის გაუმჯობესებას ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის, ამ თანამშრომლობის გეგმაზომიერების გაძლიერებას, სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოყენებას.

პარტიულ დოკუმენტებში ღრმად არის განანალიზებული მსოფლიო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ძირეული პრობლემები. ჩვენი პარტია აქტიურად იბრძვის საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის რიგების შემდგომი შეკავშირებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ XXIV ყრილობის დასკვნას, რომ იმპერიალიზმის ვერავითარი ცდა, შეეგუოს ახალ პირობებს, ვერ ცვლის მის არსს, ვერ შეუშლის ხელს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომ გაღრმავებას. სახელმწიფო-მონოპოლისტური განვითარება იწვევს კაპიტალისტური სისტემის ყველა წინააღმდეგობის გაძვნევებას, ანტიმონოპოლისტური ბრძოლის აღმავლობას. ამ გაანალიზებული სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარების პრობლემები, ყოველმხრივ გაშუქებულია მსოფლიო რევოლუციური პროცესზე მისი მზარდი ზეგავლენის ძირითადი მიმართულებანი. მაგალითის ძალა, უდიდესი წარმატებები ახალი საზოგადოების შენებლობაში უპირველეს როლს ასრულებენ ყველა კონტინენტზე მეცნიერული კომუნიზმის იდეების გავრცელებაში. ჩვენს პარტიას თავისი ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია ხელი შეუწყოს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ძლიერების შემდგომ ზრდას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყველაფერს აკეთებს, რაც საჭიროა მომძმე ქვეყნებთან ყოველმხრივი ურთიერთობის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის. ახლანდელ ეტაპზე იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლობის გაუმჯობესებას ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის, ამ თანამშრომლობის გეგმაზომიერების გაძლიერებას, სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოყენებას.

პარტიული დოკუმენტებში ღრმად არის განანალიზებული მსოფლიო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ძირეული პრობლემები. ჩვენი პარტია აქტიურად იბრძვის საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის რიგების შემდგომი შეკავშირებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ XXIV ყრილობის დასკვნას, რომ იმპერიალიზმის ვერავითარი ცდა, შეეგუოს ახალ პირობებს, ვერ ცვლის მის არსს, ვერ შეუშლის ხელს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომ გაღრმავებას. სახელმწიფო-მონოპოლისტური განვითარება იწვევს კაპიტალისტური სისტემის ყველა წინააღმდეგობის გაძვნევებას, ანტიმონოპოლისტური ბრძოლის აღმავლობას. ამ ბრძოლაში წამყვან ძალას წარმოადგენს მუშათა კლასი, რომელიც სულ უფრო ხდება მოსახლეობის ყველა მშრომელი ფენის მიზდულობის ცენტრი.

ჩვენი პარტიის დოკუმენტებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ახალ მოვლენათა შეფასებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დღენიადაგ ზრუნავს იმისათვის, რომ განმტკიცდეს მსოფლიო რევოლუციური პროცესის მთავარი ნაკადების ერთიანობა. დოკუმენტებში მხილებულია მაოისტთა იდეურ-პოლიტიკური პლატფორმის არსი, ნაჩვენებია ზიანი, რომელსაც ეს ანტილენინური პლატფორმა აყენებს საერთაშორისო კომუნისტურ, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეკავშირებას.

დოკუმენტები მკაფიოდ ახასიათებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურ საგარეო პოლიტიკას, საშუალებას გვაძლევენ თვალი გავადევნოთ იმ უმნიშვნელოვანეს აქციებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირი და მომძმე სოციალისტური ქვეყნები მიმართავენ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განხორციელებისათვის.

თანამედროვე მსოფლიო განვითარების პროცესების მარქსისტულ-ლენინურმა ანალიზმმა საშუალება მისცა ჩვენს პარტიას ჩამოეყალიბებინა ნათელი პოზიცია ყველა ძირითად საკითხში, რომლებიც კაცობრობას აღელვებენ. სკკპ XXIV ყრილობამ შეიმუშავა მშვიდობის პროგრამა, რომელიც შეესაბამება ხალხთა სოციალური პროგრესისა და საყოველთაო უშიშროების ინტერესებს. ეს პროგრამა, რომელსაც მხურვალედ იწონებენ პლანეტის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები გახდა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ქმედითი ფაქტორი, ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის აქტიური ბრძოლის პროგრამა. საბჭოთა კავშირის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის ზეგავლენით საერთაშორისო ასპარეზზე ხდება პოზიტიური ძვრები სასარგებლოდ. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ერთიანი ფრონტის ფორმირებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში" ათტომიანი კრებულის გამოშვება დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა პარტიისა და ქვეყნის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს გამოცემა ხელს შეუწყობს ჩვენი პარტიის პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური საქმიანობის დონის შემდგომ ამაღლებას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის საკითხების მეცნიერულ დამუშავებას.

„პრავდა" 29 ივნისი.

# ისტორიის კარნახი

## საერთაშორისო შენიშვნები

### ეროვნული საკითხი

### ეძღვნება ე. ეშბას დაბადების 80 წლისთავს

**სოხუმის** ცენტრში, ვ. ტ. ლენინის სახელობის პარკში დაემართა ქალაქის საზოგადოებრივობის წარმომადგენელთა ხალმბრძალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საქართველოსა და აფხაზეთში რევოლუციური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის **ეფრემ ალექსის-ძე ეშბას** ძეგლის გახსნას.

მიტინგი გახსნა საქართველოს კპ სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჯოხთაბერიძემ. ორკესტრი ასრულებს პარტიულ ჰიმნს — „ინტერნაციონალს".

ძეგლს თეთრი ტილო-საბურველი მოხსნა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კობახიამ.

გამოჩნდა თეთრი გრანიტისაგან შესრულებული ე. ეშბას მონუმენტური ძეგლი, რომელს ავტორია თვით ე. ეშბას ქალაქელი, აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე მარინე ეშბა.

შემდეგ ვ. კობახიამ ილაპარაკა ეფრემ ეშბას ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობაზე.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი შ. ინალიფა, ჩინეთიინგოეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ბაიბულატოვი.

ე. ეშბას ძეგლი (ოცდაცალი ყვავილების ვეიერგვინებით და თაიგულებით შეამკეს აფხაზეთის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

**ს. ჭანბას** სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა საიუბილეო სხდომა, მიძღვნილი ეფრემ ეშბას დაბადების 80 წლისთავისადმი.

ე. ა. ეშბას ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. შინკუბა.

**ი. გოგბეჩია,**
**„კომუნისტის" საკ. კორ.**

## ირეოდიონ ევდოშვილის იუბილესათვის

ფელს სრულდება რევოლუციონერი პოეტის ირეოდიონ ევდოშვილის დაბადების 100 წლისთავი.

ამ დღეებში გაიმართა მთავრობის კომისიის სხდომა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივნის გ. აბაშიძის თავმჯდომარეობით. კომისიამ შეიმუშავა ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა გეგმა.

დიდი საიუბილეო საღამო გაიმართება ნოემბერში თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში. პოეტის ფუბილეს ფართოდ აღნიშნავს მისი მშობლიური სიღნაღის რაიონი. რაიონულ ცენტრში გაიმართება საიუბილეო საღამო, ხოლო სოფელ ბოდბისხევში — ხალხმრავალი მიტინგი.

კომისიის წინადადებით, პოეტის ნაწარმოებთა ტექსტების მომზადებაზე მისი თხზულებების ოთხ ტომად აკადემიური გამოცემისათვის იმუშავებენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები. რუსულ ენაზე გამოვა პოეტის რჩეული ლექსები, ხოლო გამომცემლობა „მერანი" გამუშავებს მეცნიერულ-პოპულარულ მონოგრაფიას ირეოდიონ ევდოშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

საიუბილეო ზეიმობანი მოეწყობა მთელს ჩვენს რესპუბლიკაში. პოეტისადმი მიძღვნილი საღამოები გაიმართება საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, მსხვილ საწარმოებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

მომმე რესპუბლიკათა პერიოდულ გამოცემებსა და პრესაში გამოქვეყნდება ლიტერატურათმცოდნეების სტატიები, რომლებიც მიეძღვნება პოეტის შემოქმედებას.

სხდომაზე გამოვიდნენ საიუბილეო კომისიის წევრები გ. ციციშვილი, გ. გეგერდწიფელი, ა. გომიაშვილი, გ. თავაშიაშვილი, გ. მერკვილაძე, ი. ნონეშვილი, ს. ჭილაია, ს. ყუბანეიშვილი, დ. ბეჭანაშვილი და სხვები. (საქინფორმი).

## ადგილობრივი საკრებულოების პირველი სესიები

გაიმართა **სოხუმის** მშრომელთა დეპუტატების საბჭოს პირველი სესია, რომელმაც საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია **ზ. ლაბახუა. გორის** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია **ვ. კვალიაშვილი, ქედის** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ — **ფ. დიახამიძე, ქობულეთის** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ — **ი. წულუკიძე, ხულოს** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ — **ლ. რიუკაძე, ონის** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ — **ბ. მინდელი, ამბროლაურის** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ — **ნ. შარაბიძე, ცაგერის** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ — **ა. ონიანი.**

# საერთაშორისო დღე

### ქმგეგი, ფაქტეგი, მოვლენეგი

# მსოფლიოს მშვიდობისათვის

**ჟენევარიბად ისტორიული მასშტაბის მოვლენა — შესანიშნავი წვლილი მშვიდობის განმტკიცებისათვის — ასე აფასებს საერთაშორისო საზოგადოებრიობა და პრესა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგებს.**

□ **უნგრეთი.** მკაფიო და თვალსაჩინო დადასტურება სსრ კავშირის მტკიცე გადაწყვეტილებისა კეთილგანზორციელოს სკკპ XXIV ყრილობის მიერ წამოყენებული მშვიდობის პროგრამა, — ასე აფასებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგებს უნგრული გაზეთი **„ნეფსაბადშაგი".** ეხება რა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის უმაღლესი დონის შეხვედრას, გაზეთი აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა „ჯერ კიდევ მაშინ შეიგნო სსრ კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის საჭიროება, როცა დასავლეთის ბევრი სხვა სახელმწიფო ამაოდ ცდილობდა იზოლაციაში მოექცია სოციალისტური სახელმწიფოები".

□ **ამერიკის შეერთებული შტატები. „ნიუ-იორკ ტაიმსი", „ვაშინგტონ პოსტი",** ბევრი სხვა გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებას ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ.

□ **საფრანგეთი.** პარიზის პრესა პირველ გვერდებზე იუწყება საფრანგეთის თავრობის სხდომის შესახებ, რომელზეც პრეზიდენტმა ჟ. პომპიდუმ გააკეთა განცხადება ლ. ი. ბრეჟნევთან და კანცლერ ვ. ბრანდტთან თავისი საუბრების შესახებ. მოლაპარაკებამ, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევს ჰქონდა შეერთებული შტატებიდან დაბრუნების შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტთან, კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყნისათვის საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობას, აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით **„ეკო".**

□ **ლიბანი.** „ამერიკის შეერთებულ შტატებში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგებმა ყველა ქვეყნის პროგრესული საზოგადოებრივის დიდი კმაყოფილება გამოწვია, — წერს გაზეთი **„ან-ნიდა",** — სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებული შეთანხმებანი ჭეშმარიტად შესანიშნავი ნაბიჯია ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების გზაზე".

„არაბმა ხალხებმა, არაბეთის ქვეყნების ხელმძღვანელებმა თავიანთი გამოცდილებით იციან, რომ საბჭოთა კავშირი იყო და არის არაბული სამყაროს გულწრფელი მეგობარი", — აღნიშნავს გაზეთი **„აშ-შაარი".**

## გონი ყველა ხალხის ინტერესებისათვის

**30 ივნისი. (საკადენი). „სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში და პრეზიდენტ რ. ნიქსონთან მისი მოლაპარაკების შედეგები მოწმობენ, რომ მოხდა ისტორიული შემობრუნება საერთაშორისო ურთიერთობაში, კონფრონტაციიდან და ცივი ომიდან გადავდგომრთ მშვიდობიან თანაარსებობასა და თანამშრომლობაზე", — ნათქვამია გერმანელთა კომუნისტური პარტიის გამგეობის პრეზიდიუმის 'განცხადებაში.**

„საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის გაუმჯობესება, — ხაზგასმულია განცხადებაში, — და უწინარეს ყოვლისა შეთანხმება ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ, შეესაბამება არა მარტო ამ ქვეყნების, არამედ ყველა სხვა ქვეყნის, მათ შორის ფედერაციული რესპუბლიკის ინტერესებსაც".

## ნიუ-იორკი კ. ვალდჰაიმის დეპეშა

**30 ივნისი. (საკადენი). კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას ენიჭება სტატუსი მუდმივი მეთვალყურისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰო დამს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ხაზგასმულია, რომ გენერალური მდივანი დიდი კმაყოფილებით მზად არის მიანიჭოს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას სხვა იმ სახელმწიფოების მსგავსი პრივილეგიები და უფლებები, რომლესაც აქვთ სტატუსი მუდმივი მეთვალყურისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. როგორც უკვე ვიუწყებოდით, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ამას წინათ კ. ვალდჰაიმს მიმართა თხოვნით მუდმივი მეთვალყურის სტატუსის მინიჭების შესახებ.

## არქიტექტურის მუზეუმი ვრცელდება

**1965 წელს პოლონეთის ქალაქ ვროცლავში გაიხსნა არქიტექტურის მუზეუმი. იგი შეიქმნა ვროცლავის რესტავრატორებისა და ხელოვნების ისტორიკოსთა ინიციატივით.**

**მუზეუმისათვის ამოირჩიეს არაჩვეულებრივი ადგილი — ბერნარდელთა მონასტრის ძველი შენობა. ექსპოზიციებისათვის გამოყენებულია მონასტრის ქვედა სართულის გვიანგოთიკური სტილით ნაგები გალერია, აგრეთვე ზედა ორი სართულის უზარმაზარი დარბაზები.**

**მუზეუმის მომავლის გეგმებში დიდ ადგილს დაიკავებს ცნობილ არქიტექტორთა ნამუშევრები, აქვე მოეწყობა იმ პროექტების განხილვა, რომლებიც წარდგენილი იქნება პრემიებზე და ჯილდოებზე.**

**ამუამად არქიტექტურის მუზეუმის ერთ-ერთი დარბაზი დათმობილი აქვს საბჭოთა პოლიტიკური პლაკატის ექსპოზიციას.**

**სურათზე:** ექსპოზიციის ერთ-ერთი კუთხე.

ინტერპრესის ფოტო.

## გერლინი ხილდა ვალტერ ულბრიხტს

**30 ივნისი. (საკადენი).** გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტროთა საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი დაჯილდოვა „ხალხთა მეგობრობის დიდი ვარსკვლავის" ორდენით მისი დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით.

### საინტიაგო

## შეთქმულება ჩაახშეს

**30 ივნისი. (საკადენი).** გუშინ სახალხო ერთიანობის მთავრობის ერთგულმა შეიარაღებულმა ძალებმა სწრაფად ჩაახშეს სამხედრო შეთქმულება ჩილეს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ.

29 ივნისს დილით ერთ-ერთი სატანკო პოლკის ქვეგანაყოფმა, რომელიც დაბინავებულია დედაქალაქში, დაიწყო შეთქმულება, გამოვიდა თავისი ყაზარმებიდან და აღება შემოარტყა პრეზიდენტის სასახლეს „ლა-მონედას". შეთქმულებმა სროლა ატეხეს, იყო მსხვერპლი სამოქალაქო პირთა შორის.

პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ სასწრაფო ზომები მიიღო შეთქმულების ჩასახშობად. არმიის ყველა ნაწილი, შეთქმულთა მცირე ჯგუფის გარდა, მთავრობის ერთგული დარჩა. სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი გენერალი პრატსი პირადად ხელმძღვანელობდა შეთქმულთა საბოლოო ჩახშობის ოპერაციას.

ქვეყანაში შემოღებულია საგანგებო წესები.

## ბერძენი

### ეროვნული ფასეულობანი

**ეროვნული ფასეულობანი** — ეს ეროვნული ენა, ეროვნული ტერიტორია, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ეკონომიკური ბაზა, ეროვნული ბაზარი, ეროვნული ფულადი ერთეული, ეროვნული ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, ეროვნული ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, ეროვნული ეკონომიკური ინფრასტრუქტურა

# საქართველოს ფოთა-ბაზაში

# მაღალი ღირსეულნი!

### უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდების წინ

ახლოვდება პასუხსაგები დრო უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებაში — მისაღები გამოცდები. სტუდენტთა ახალი კონტინგენტის შერჩევა უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობის აქტია. მომავალ სტუდენტთა შერჩევის ობიექტურობა, ყველაზე მომზადებული აბიტურიენტების მიღება ბევრად განსაზღვრავს უმაღლესი სკოლის მთელი მუშაობის ეფექტიანობას.

საქინფორმის კორესპონდენტმა ი. გოლდმანმა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს ბ. ჯიბლაძეს სთხოვა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მომავალ მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

**როგორია მიღების ახალი კონტინგენტი?**

— უმაღლესი სასწავლებლების პირველ კურსებზე მიღებული იქნება 13.400 სტუდენტი. ეს 330-ით მეტია, ვიდრე შარშან. იზრდება ადგილების რიცხვი რუსული ენისა და ლიტერატურის, მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიის, გამოყენებითი მათემატიკის, ზოგადტექნიკური დისციპლინისა და შრომის, აგრეთვე სხვა სპეციალობებზე.

**— არის თუ არა ცვლილებანი მიღების წესებში?**

ერთ-ერთი ცვლილება ეხება საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მედლით დაჯილდოებულებს, აგრეთვე ტექნიკუმებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებს, რომლებსაც მიენიჭათ წარჩინების დიპლომი თუ ატესტატი. წინათ მთელ რიგ ფაკულტეტებზე შესვლისას მათ უნდა ჩაებარებინათ წერითი და ზეპირი გამოცდები მაპროფილებელ საგანში, რომელსაც განსაზღვრავდა უმაღლესი სასწავლებელი. ახლა ფრიადი შეფასება ერთ — წერითსა თუ ზეპირ გამოცდაზე (უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისად მეპრ) საკმარისია აბიტურიენტის ინსტიტუტში ჩასარიცხად.

ერთგვარი ცვლილებანი შეტანილია ფიზიკისა და სსრ კავშირის ისტორიის შესასსლელი გამოცდების პროგრამებში. კერძოდ, საბჭოთა კავშირის ისტორიაში საკონკურსო გამოცდის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა თანამედროვე პერიოდის ცოდნას.

**— მიღების ახალი წესები ითვალისწინებენ უფრო მკაცრ მოთხოვნებს აბიტურიენტთა საწარმოო სტაჟისადმი. რით გამოიხატება ეს?**

— ის, ვინც დღის განყოფილებაზე ავიცილოთ შეცდომები და დარღვევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გასულ წლებში მისაღები გამოცდების დროს?

— იმედი გვაქვს, რომ სამინისტროსა და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობის მიერ დასახული მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებანი საშუალებას მოგვცემენ თავიდან ავიცილოთ მისაღები გამოცდების დროს შეცდომები, რომლებზეც სამართლიანად მიგვითითა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

გულმოდგინედ შევარჩიეთ საგამოცდო კომისიათა წევრები, რომელთა კანდიდატურები განიხილეს უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საბჭოების სხდომებზე. კომისიებში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის სკოლების საუკეთესო პედაგოგები, რომლებიც კომისიის შემადგენლობაში შეკავავთ სკოლების პედაგოგიურ საბჭოებზე მათი კანდიდატურების განხილვის და საეცაალური რეკომენდაციის მიღების შემდეგ. დიდი მუშაობა განხორციელდა საკონკურსო გამოცდებისათვის საგამოცდო ბილეთების შესადგენად. ამ საქმეში გამოცდილ სპეციალისტთა ჩაბმა საშუალებას მოგვცემს გამოვრცხოთ სასკოლო პროგრამასა და საგამოცდო ბილეთების საკითხებს შორის განსხვავების შემთხვევები.

ამ ბოლო წლებში მახინჯი ფორმები მიიღო რეპეტიტორობამ რესპუბლიკაში. უმაღლესმა სასწავლებლებმა ბრძოლა გამოუცხადეს რეპეტიტორებს — არც ერთი მათგანი არ შეეკა მიმღებ კომისიებში.

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში გაიმართა ღია კარის დღეები. აბიტურიენტებმა და მათმა მშობლებმა, რომლებიც შეხვდნენ უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლებს, ამომწურავი პასუხი მიიღეს მათთვის ყველა საინტერესო კითხვაზე, რომლებიც ეხება მისაღებ გამოცდებსა და სწავლას ინსტიტუტში.

ყველა უმაღლეს სასწავლებელში შექმნილია აბიტურიენტთა საჩივრებისა და პრეტენზიების განმხილველი სპეციალური კომისიები. ისინი სამ დღეში გასცემენ პასუხს მიღებულ საჩივრებზე. (საქინფორმი).

## თბილისი დღეს

მშენებლობა დამთავრდება და სასტუმრო „აჰარის“ მრავალსართულიანი შენობა მთელი თავისი სილამაზით დაამშვენებს მოედანს სპორტის სასახლის წინ.

ხ. თევზაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



## სპორტი

### წარმატება ტრადიციით

ალმა-ათა, 29 ივნისი. (საკუთარი კორ.). დღეს დამთავრდა შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც მიმდინარეობდა საკავშირო ახალგაზრდული ასპარეზობის პროგრამით. შეჯიბრებაში გაიმარჯვა საქართველოს გუნდმა. თავიანთ წონითს კატეგორიებში უძლიერესნი აღმოჩნდნენ ნიკოლოზ სტაროვერკინი (ყაზახეთი), აპად ალიევი და რაფაელ ბივაზოვი (ორივე—აზერბაიჯანი), ვასილ ლარეცკი (რუსეთის სფსრ), ანატოლი ბიკოვი (ყაზახეთი), ვლადიმერ ზემკოვი (რუსეთის სფსრ), თამაზ კიკნაძე (საქართველო), ვლადიმერ ნეჩაევი (რუსეთის სფსრ), მიხეილ სალაძე (საქართველო) და ალექსანდრე კოლჩინსკი (უკრაინა).

საკდესის კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რა არის საქართველოს გუნდის წარმატების საიდუმლოება, მისმა მწვრთნელმა, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა რომან რურუამ თქვა:

მრავალი წლის მანძილზე ქართველი მოჭიდავეები — ჭიდაობა კი ჩვენში სპორტის უძველესი ეროვნული სახეობაა — აღწევენ წარმატებას სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში. აქაც ჩვენი ახალგაზრდობა თავის სიმაღლეზე იყო. ამ შეჯიბრების მონაწილე 10 სპორტსმენიდან რვა შეყვანილია ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში.

მეორე ადგილი დაიკავა ყაზახეთის, მესამე — რუსეთის გუნდმა.

### ა. ჟეტრეველი — ფინალში

უიმბლდონის ტურნირში თბილისელმა ალექსანდრე მეტრეველმა დააჯარა ინგლისელი ჰეიერი — 8:6, 6:4, 6:1 და ფინალში გავიდა. სენსაციური იყო რუმინელი ილიე ნასტასეს წარუმატებლობა ამერიკელ მაიერთან შეხვედრაში.

### ვ. სანდეევის ორმაგი მიღწევა

კელსინბში დამთავრდა 23 ქვეყნის მძლეოსანთა ტრადიციული მერვე „მსოფლიოს ასპარეზობა“. სამმაგ ხტომაში უძლიერესი იყო ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს რეკორდსმენი ვიქტორ სანეევი — 16 მეტრი და 49 სანტიმეტრი. თბილისელმა მძლეოსანმა წარმატებით იასპარეზა სიგრძეზე ხტომაშიც, სადაც მესამე ადგილი დაიკავა — 7 მეტრი და 42 სანტიმეტრი.

მაღალი შედეგი აჩვენა აგრეთვე მეორე თბილისელმა მძლეოსანმა — ანატოლი მომიაშვილმა, რომელსაც თარჯრბენში 110 მეტრზე ჰქონდა მეხუთე დრო — 13,9. პირველი იყო ამერიკელი მძლეოსანი როდ მილბერნი — 13,3.

### ფეხბურთის ამბები

**ბუენოს** მოსკოვში, ლუჟნიკის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატის „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის მეთოთხმეტე ტურის პირველი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები — ცსკა და ვოროშილოვგრადის „ზარია“. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:0 არმიელთა სასარგებლოდ. ბურთი თამაშის 76-ე წუთზე გაიტანა დროოფეევმა.

**ბუენოს** „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე დიღომში გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ საათადარიგო შემადგენლობათა მატჩი.

ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

**ბუენოს** კიშინიოვში გაიმართა საკავშირო პირველობის „ა“ კლასის პირველი ლიგის კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერი — კიშინიოვის „ნისტრუ“ და ქუთაისის „ტორპედო“. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა „ნისტრუმ“.

**ბლაგოეში** გაიმართა შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ამხანაგური მატჩი ბრაზილიისა და შოტლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მსოფლიოს ჩემპიონებმა. ბურთი თამაშის 34-ე წუთზე საკუთარ კარში გაიტანა დერეკ ჯონსტონმა.

## ვ. ვ. მირიანაშვილი

ხანგრძლივი და ძნიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1939 წლიდან, რესპუბლიკის დაშსახურებული აგრონომი, სოციალისტური შრომის გმირი მახტანგ ვასილის-ძე მირიანაშვილი.

ვ. მირიანაშვილი ერთი იმათგანია, ვინც საბჭოთა ხელისუფლებას ეზრუნა, ეზრუნა საბჭოთა საქართველოს დიად მომავალს. მან მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვას და სამსახურს შეალია და თავისი თავდადებული შრომით საპატიო წვლილი შეიტანა რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

ვ. მირიანაშვილი დაიბადა 1910 წლის 5 აგვისტოს ხიდნაღის რაიონის სოფელ ანაგაში, ელეხის ოჯახში.

შრომითი საქმიანობა მან დაიწყო ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარში, სადაც იგი ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობდა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტს ნიშნავენ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მარცვლეული კულტურების სამმართველოს უფროსად, 1939-1944 წლებში იგი წითელწყაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა. 1944 წელს იგი აირჩიეს წითელწყაროს რაიკომის პირველ მდივნად, სადაც 1950 წლამდე მუშაობდა. 1950-1952 წლებში იგი სოფლის მეურნეობის მინისტრია. ამ პოსტზე მან საქმის ღრმა ცოდნა და ჭეშმარიტად ნამდვილი ხელმძღვანელის თვისებები გამოავლინა.

შემდგომ წლებში ვ. მირიანაშვილი მუშაობს საგარეჯოს რაიაღმასკომის თავმჯდომარედ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების განყოფილების უფროსად, სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ, საქართველოს კპ სამგორის რაიკომის პირველ მდივნად, გარდაბნის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს პარტკომად, ხოლო შემდეგ საქართველოს კპ გარდაბნის რაიკომის პირველ მდივნად.

1966 წლიდან 1973 წლის მარტამდე ვ. მირიანაშვილი მუშაობდა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველად. მუდამ აქტიური მონაწილეობა ჰქონდა ადამიანური ურთიერთობისა-თვის ზრუნვას და სამსახურს შეალია და თავისი თავდადებული შრომით საპატიო წვლილი შეიტანა რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

ვ. მირიანაშვილი ერთგული ბოლშევიკი, ერთგული ლენინელი, ერთგული ადამიანი, ერთგული ოჯახის მამა, ერთგული ამხანაგ